პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---თებერვალი 2019 წელი

"ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ნატბეურების დასახლებაში უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის ნატბეურების სახელის მინიჭების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N208 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ნატბეურების დასახლებაში უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის ნატბეურების სახელის მინიჭების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N208 განკარგულებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შეიცვალოს დანართი (რუკა).

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


X=479924 Y=4629487
ნატბეურების ქ.
I შეს.
X=479761 Y=4629340
X=480073 Y=4629327
X=479679 Y=4629266
II შეს.
X=479597 Y=4629192
III შეს
IV შეს
ნატბეურების ქ.
X=479420 Y=4629029
I შეს.
X=480045 Y=4629033
X=479676 Y=4628965
X=480041 Y=4628882
X=480017 Y=4628744

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011770873249218

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

349232

10 / აგვისტო / 2018 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2013 წლის 26 აპრილს N38 განკარგულებით ქალაქ თბილისის საკრებულომ ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ქოშიგორას დასახლებაში უსახელო ქუჩას უდაბნოს მონასტრის სახელი მიანიჭა, აღნიშნულ განკარგულებას თან ერთვის სიტუაციური ნახაზი სადაც ასახულია აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და გავრცელების არეალი. უდაბნოს მონასტრის ქუჩა რეგისტრირებულია მისამართების რეესტრში (რეგისტრაციის ნომერი: M16006228).

მიმდინარე წლის 10 ივლისის N208 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ნატბეურების დასახლებაში უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ოთხ შესახვევს ნატბეურების სახელი მიანიჭა, აღნიშნულ განკარგულებას თან ერთვის სიტუაციური ნახაზი სადაც ასახულია სახელდებული გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობა და გავრცელების არეალი.

აღნიშნულ განკარგულებებზე თანდართული სიტუაციური ნახაზების მიხედვით, უდაბნოს მონასტრის და ნატბეურების ქუჩების გავრცელების არეალის ერთი მონაკვეთი ემთხვევა ერთმანეთს, რის გამოც შეუძლებელია ამ მონაკვეთის სახელწოდების განსაზღვრა.

გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ აღნიშნული საკითხი.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სამისამართო სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ტაბატაძე


479800
479900
480000
480100
480200
4629700
4629600
4629500
4629400
479,940, 4,629,564
480,005, 4,629,558
480,062, 4,629,510
ეროვნული ბიბლიოთეკის ქ.
წიგნსაცავების ქ.
წიგნსაცავების I შეს.
დაინტერესებაში არსებული მონაკვეთი
0 25 50 100 150 200
Meters

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **Ɜ/2370550**
თარიღი: **15/08/2018**
პინი: ####

ადრესატი: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
მისამართი: წმ. ნიკოლოზის / ნ. ჩხეიძის ქ.2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სამისამართო სამსახურის უფროსის მ/შ გიორგი ტაბატაძეს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განიხილა თქვენი 2018 წლის 10 აგვისტოს #04-0318222151-03 წერილი, რომლითაც ითხოვთ უდაბნოს მონასტრის ქუჩის და ნატბეურების ქუჩების კვეთასთან დაკავშირებით ინფორმაციას და წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრას.

გაცნობებთ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებოლოს უახლოეს სხდომაზე მოხდება 2018 წლის 10 ივლისის #208 განკარგულების დანართში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე